ფრე ცსკა–სთან

მოსკოვი;. “დინამოს” სტადიონი. 10 აგვისტო.

ცსკა – “დინამო” (თბილისი) 0:0.

ცსკა: ასტაპოვსკი, უტკინი, ხუდიევი (მოროზოვი), ვისოკიხი, კაპლიჩნი, ანდრიუშჩენკო, შალნევი, კოპეიკინი, კუზნეცოვი, დოროფეევი (მუხანოვი), ჩესნოკოვი.

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, მუჯირი, ქორიძე, გ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, ასათიანი (ხიზანიშვილი), გუცაევი, ყიფვიანი.

მსაჯი: ე. აზიმ–ზადე (ბაქო).

გაფრთხილებულია ვ. გუცაევი.

დუბლიორები – 1:1.

გათამაშების ცხრილში ერთმანეთთან ახლოს მყოფ მეტოქეებს უკიდურესად დაძაბული ბრძოლა მოელოდათ, ვინაიდან ქულები ჰაერივით ესაჭიროებოდა ორივე გუნდს. ამას გარდა, არმიელებს უნდა ეზრუნათ პირველ წრეში განცდილი დამარცხების რევანშისთვის.

მაგრამ მატჩი არ გამოდგა საინტერესო სანახაობრივი თვალსაზრისით. სტუმართა როლში მყოფმა დინამოელებმა საფუძვლიანად გამაგრებული დაცვისა და ნახევარდაცვის აქტიური თამაში არჩიეს და ამ ზონებში არაფერი დაუთმეს მეტოქეს, წინ კი გუცაევი და ყიფვიანი დატოვეს კონტრშეტევებისთვის. ასეთ ვითარებაში არმიელებს მეტი აგრესიულობის გამოჩენა მართებდათ, მაგრამ მათი თავდამსხმელები, უპირველესად კი გუნდის საუკეთესო ბომბარდირი კოპეიკინი, მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ მოქცეული და ბურთი იშვიათად აღწევდა მეკარე გოგიამდე. მე–20 წუთზე კოპეიკინმა შეძლო ძალიან ხელსაყრელ პოზიციაში გასვლა, მაგრამ გოგიამ დროზე მოასწრო ხიფათის მოგერიება, ტაიმის დასასრულს კი ქორიძის მიერ შორიდან დარტყმული ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს.

შედარებით გამოცოცხლდა თამაში მეორე ტაიმის დასაწყისში, იმატა ტემპმა, თბილისელთა ნახევარმცველები რამდენიმეჯერ ჩაებნენ იერიშში და ერთ–ერთი შეტევის დროს უტკინმა აშკარა გოლისგან იხსნა კარი, როცა ზედ ხაზიდან გამოიტანა ბურთი. მერე ყიფვიანს და ხიზანიშვილს შეექმნათ კარგი მომენტები, ასტაპოვსკიმ გაჭირვებით მოიგერია ქორიძის დარტყმა…

ასე გაგრძელდა დაახლოებით 20–25 წუთს, შემდეგ მასპინძლებმა შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება, მატჩის დასასრულს კი ცხადი შეიქნა, რომ გამარჯვება არც ერთ მხარეს არ ეწერა.

ვ. პავლოვი (ტელეფონით, ჩვენი კორ.).

“ლელო”, 12 აგვისტო, 1975 წ.